გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

27 ივნისი 2024

N 2-600

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ქ. ზესტაფონში, შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის“ 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვით ქვესადგურის მშენებლობაექსპლუატაციისა და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 27 მაისის №2-769 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის N21/6567 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ზესტაფონში, შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის“ 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვით ქვესადგურის მშენებლობაექსპლუატაციისა და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 27 მაისის №2-769 ბრძანება.
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურს“.
3. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.
4. ეს ბრძანება ძალაშია შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი

https://edocument.ge/mea/public/#/600-2-4-202406270855